

დამოუკიდებელი საქართველოს ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ
და პირველი შეიარაღებული გამოსვლები
ვაჟა ჩოჩია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პირველი ამბოხი საქართველოში, საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლების დამყარებისთანავე, 1921 წლის მაისიდან დაიწყო. ხალხი უკმაყოფილო იყო საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაკარგვით, საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გასხვისებით და არნახული სისასტიკით განხორციელებული რეპრესიებით. ამას, პირველ რიგში, ინტელიგენციის ელიტარული ნაწილი შეეწირა. უკმაყოფილებამ ქართველ ხალხს შეიარაღებული აჯანყებისკენ უბიძგა. აჯანყება პირველად სვანეთში დაიწყო და მალე, თითქმის მთელი საქართველო მოიცვა. სვანებმა, მოსესტრო დადემშქელიანის, ნესტორ გარდაფხაძის და ბიძინა პირველის მეთაურობით, წითელი არმიის ნაწილებს გადაუკეტეს სვანეთისკენ მისასვლელი გზები¹. მათ კონტაქტები დაამყარეს თუშ-ფშავ-ხევსურებთან, რომელთაც ხელმძღვანელობდა დემოკრატიული საქართველოს არმიის ოფიცერი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი. მან, ჯერ კიდევ 1922 წლის 12 მარტს, ავლევის ტყეში საბრძოლო ფიცით შეიფიცა პირველი ექვსი თანამებრძოლი, რომელთაც მალე სხვებიც შეუერთდნენ. ასე შეიქმნა რაზმი, რომელსაც ალექსანდრე ბატონიშვილის თანამებრძოლთა მსგავსად "შეფიცულთა" რაზმი ეწოდა². ქაქუცას ინიციატივით, პარტიზანული რაზმები შეიქმნა კახეთში და ქართლში. მათ მეთაურობდნენ ს. ბაგრატიონ-მუხრანელი, მ. ლაშქარაშვილი, ს. ანდრონიკაშვილი, ა. სუმბათაშვილი, შ. ვაჩნაძე და სხვ. გურიაში პარტიზანულ რაზმებს მეთაურობდნენ სერგო მათითიშვილი და თეოფილე მუხაშაურია.

1921 წლის შემოდგომაზე რუსებისგან შევიწროებული სვანები იძულებული ხდებიან აჯანყება დაიწყო. მათ განაიარაღეს სვანეთში მდგომი წითელი არმიის ნაწილები, დაამხეს "რევკომები" (რევოლუციური კომიტეტები) და დაიმორჩილეს მილიციის პუნქტები. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 7 ოქტომბრის დადგენილებით, რესპუბლიკის ყველა კუთხეში შექმნა განსაკუთრებული დანიშნულების რაზმები, რომელთაც დაევალათ დაუყოვნებლივ ჩაეხშოთ ანტისაბჭოთა გამოსვლები.

აჯანყებული სვანები ექვსი თვის განმავლობაში მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ აჯანყების ჩასახშობათ გაგზავნილ დამსჯელ, ჭარბ ძალებს, მაგრამ საბოლოოდ მათი გამოსვლები ჩაახშეს. მიუხედავად მარცხისა, სვანეთის აჯანყებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი გადაიქცა XX ს. 20-იანი წლების ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშედ. იმავე დროს, სვანეთის გამოსვლებს დიდი საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა⁴.

სვანეთის გამოსვლასთან ერთად, ნავარაუდები იყო კახეთ-ხევსურეთის აჯანყება, რომლის ორგანიზება "სამხედრო ცენტრმა" დამოუკიდებლობის კომიტეტმა ("დამკომი") აიღო საკუთარ თავზე. მისი დირექტივების მიხედვით მოქმედებდნენ ჩოლოყაშვილისა და ლაშქარაშვილის რაზმები⁵. ქაქუცას რაზმმა დუშეთი აიღო და პოლიტიკური პატიმრები გაათავისუფლა. შემდეგ უნდა განხორციელებულიყო თავდასხმა თბილისზე. შეფიცულთა წინააღმდეგ საწრაფოდ გაიგზავნა "წითელი დივიზია", რომელსაც პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი მეთაურობდა. იგი ფარულად "სამხედრო ცენტრის" წევრი იყო და მოითხოვა 350 კაცი, რათა "წითელი დივიზია" არაგვის ხეობაში შეეტყუებინა და გაენადგურებინა. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გადამწყვეტ მომენტში ბრძოლაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ გამოსვლა ნაადრევად მიიჩნია. ქაქუცას რაზმმა, მუსხელიშვილის დახმარებით, გაარღვია ალყა და ჩეჩნეთში გადავიდა, რუსები კი ხევსურეთს შეესივნენ და სასტიკად ააოხრეს.

აჯანყების დამარცხებას მოჰყვა სასტიკი რეპრესიები ბოლშევიკური ხელისუფლების მხრიდან. იჭერდნენ და აწამებდნენ ყველას, განურჩევლად სქესისა, ასაკისა და პროფესიისა და არც იმას კითხულობდნენ ჰქონდა თუ არა პატიმარს რაიმე ურთიერთობა აჯანყებასთან. ჩეკისტები (საგანგებო კომისიის წევრები) პატიმართ გამოტყვევის ველურ მეთოდებს მიმართავდნენ. "დამნაშავეთა" გასამართლება ფიქტიურ ხასიათს ატარებდა. პატიმრის პატრონებს უფლება არ ჰქონდათ განაჩენი გაესაჩივრებინათ, სამართლიანობა მოეთხოვათ.

1923 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის კომიტეტმა ერთა ლიგას მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც ნათქვამი იყო: "საქართველოში გამეფდა საშინელი კულტურული და ფიზიკური ტერორი. საქართველო სასაკლავოდ არის გადაქცეული. ნადგურდება და ისპობა პატარა კულტურული

ერი ... რუსეთის ჩეკამ და დამსჯელმა რაზმებმა ორი წლის განმავლობაში ააოხრეს, ცეცხლს და მახვილს მისცეს საქართველოს მთელი ოლქები: კახეთი, სვანეთი, გურია ... შუა საუკუნეების ინკვიზიცია არარაობაა იმ წამებასთან, რომელსაც ოკუპანტები აყენებენ მუშებსა და გლეხებს”⁶.

რეპრესიები განსაკუთრებული სიმკაცრით შეესო გურიას, სადაც დამსჯელ რაზმებს მეთაურობდა ყოფილი ყაჩაღი ალექსანდრე (საშა) ობოლაძე. მისმა თარეშმა იმდენად შეუზღუდავი ხასიათი მიიღო, რომ მოსახლეობა იძულებული გახდა ფიზიკურად მოესპო ის, რასაც ხელისუფლებამ ხალი ტერორით უპასუხა⁷. ერთ ღამეში 92 კაცი გამოიყვანეს თბილისის ციხიდან და დახვრიტეს. მათ შორის იყო 15 პოლიტიკური მოღვაწე, მასწავლებელი, სტუდენტი, მუშა და სხვ.

1922 წლის აგვისტოს აჯანყება ხევსურეთში 20-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო, რადგან ამ მოძრაობას გააჩნდა კონკრეტული მიზნები, მიზნები და შედეგები. აჯანყება იყო ლოგიკური შედეგი საქართველოს ოკუპაციისა და მიზნად ისახავდა რუსული საჯარისო შენაერთების გაყვანას საქართველოდან და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას. აჯანყების შესახებ ნოე ჟორდანიას წერდა: ”წელი დაუფიწყარი და მუდამ სახსოვარი, სამარადისოდ აღბეჭდილია ქართველი ხალხის გულში და მას ის მუდამ მოიგონებს მოწიწებით და თაყვანისცემით”⁸.

გამოსვლები, რომლებსაც ახორციელებდნენ პარტიზანული რაზმები, ლოკალური იყო. ამასთანავე, აჯანყებულებმა ვერ მიაღწიეს ერთსულოვნებას. აჯანყება დამარცხდა და ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობა სწორედ იმ უთანხმოებამ, რომელმაც თავი იჩინა პარტიათა შორის საბრძოლო მოქმედებათა მსვლელობის საკითხში. ნაციონალ-დემოკრატები ბრძოლის მომხრენი იყვნენ, სოციალ-დემოკრატები კი ისევ ბოლშევიკებთან შეთანხმებას ვარაუდობდნენ.

1922 წლის აჯანყების მარცხმა განაპირობა ახალი, უფრო დიდი მასშტაბის აჯანყებისათვის მზადება, რომელიც ზუსტად ორი წლის შემდეგ გამეორდა წარსულის შეცდომების გათვალისწინების გარეშე. სვანეთისა და ფშავ-ხევსურეთის აჯანყებათა გამოცდილებამ ცხადყო, რომ პარტიზანული გამოცდილებით, საბჭოთა ხელისუფლების დამხობა შეუძლებელი იყო, თვით საყოველთაო აჯანყების შემთხვევაშიც კი. ევროპის დახმარების გარეშე,

კიდევ რომ გაემარჯვა აჯანყებას, შეუძლებელი იქნებოდა მისი შედეგის შენარჩუნება. ქართულმა ემიგრანტულმა დიპლომატიამ მემორანდუმებითა და მანიფესტებით ვერ მიაღწია საქართველოს საქმეებში ევროპის ჩართვას, ამიტომაც შეცვალა ბრძოლის მიზანი: აჯანყების მოწყობით ისინი ვარაუდობდნენ მიექციათ დასავლეთის ქვეყნების ყურადღება და მათი დახმარების იმედად რჩებოდნენ.

ანტისაბჭოთა აჯანყება იგეგმებოდა 1923 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, მაგრამ აჯანყება არ შედგა იმის გამო, რომ 1923 წლის მარტში დააპატიმრეს "სამხედრო ცენტრის" შემადგენლობა მთლიანად (15 კაცი) და 20 მაისს დახვრიტეს ქართული მხედრობის და სამხედრო ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები - გენერლები: ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე, კოტე აფხაზი; პოლკოვნიკები: რ. მუსხელიშვილი, გ. ხიმშიაშვილი, ალ. მაჭავარიანი, ე. გულისაშვილი, დ. ჩრდილელი; როტმისტრები: ფ. ყარალაშვილი, ს. ბაგრატიონ-მუხრანელი; ლეიტენანტი ლ. კლიმიაშვილი; სამხედრო მოხელეები: მ. ზანდუკელი, ი. კერესელიძე, ს. ჭიაბრიშვილი, ივ. ქუთათელაძე და ელ. გულიაშვილი⁹.

"სამხედრო ცენტრის" ჩავარდნა საბედისწერო აღმოჩნდა აჯანყებისათვის, რადგან პარიტეტულმა კომიტეტმა ეს ზარალი ვერ აანაზღაურა. მარცხმა და რეპრესიებმა საზოგადოებაზე დიდი გავლენა მოახდინა. საჭირო იყო ბრძოლის ახალი მიმართულებით გაშლა, რაც ითავა მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების ყოფილმა მინისტრმა, ნოე ხომერიკმა. ის ჯერ კიდევ 1922 წლის ნოემბერში ჩამოვიდა საქართველოში კონკრეტული მისიით: წარემართა გადამწყვეტი მზადება შეიარაღებული გამოსვლებისათვის. ხომერიკის ჩამოსვლამ აამოქმედა ხევსურეთის მარცხით გულგატეხილი პოლიტიკური წრეები. მისი ინიციატივით, აქტიურად მუშაობდა ახლად რეორგანიზებული "სამხედრო კომისია".

პარიტეტული კომისიის სხდომაზე ხომერიკმა იმედიანად განაცხადა: "თუ შევძელით საქართველოს აჯანყება და ერთი-ორი თვეც გავუძელით, მაშინ არის იმედი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მხრივ დიპლომატიური ჩარევისა და ფულით დახმარებისა"¹⁰. ხომერიკის ინიციატივით კავშირები გაიბა კავკასიის ხალხებთან. შეთანხმება ერთიანი ბლოკის შესაქმნელად ემიგრანტულმა კავკასიურმა მთავრობებმა ჯერ კიდევ 1921 წლის მაისში

დადეს პარიზში. შეთანხმებაში მონაწილეობდნენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლები. საჭირო იყო მხოლოდ ამ ქვეყნების მოსახლეობის უშუალოდ ჩაბმა. სომხეთის დელეგაციის აქტიურობის მიუხედავად, დაშნაკებმა უარი განაცხადეს აჯანყებაში მონაწილეობაზე, რადგან მათ თურქეთთან ურთიერთობის პრობლემები უფრო აწუხებდათ და ამ პრობლემის მოგვარებას რუსეთზე დაყრდნობით ფიქრობდნენ. უფრო დიდი ინტერესი აჯანყებისადმი აზერბაიჯანელმა მუსავატელებმა გამოამჟღავნეს. 1923 წლის მაისში ბაქოში გაიგზავნა მენშევიკთა ცკ-ს რწმუნებული ევტიხი სალუქვაძე. მან კავშირი დაამყარა მუსავატელ ალა-ალი-იუსუფ-ზადესთან, რომელიც 1923 წლის ნოემბერში თბილისში ჩამოვიდა და ხომერიკსა და ფაღავას შეხვდა. ხომერიკი აზერბაიჯანს ფინანსურ დახმარებას შეპირდა, მაგრამ 9 ნოემბერს ხომერიკი ჩეკამ დააპატიმრა. ამის მიუხედავად, "სამხედრო ცენტრის" ნაცვლად შექმნილმა "სამხედრო კომისიამ" დიდი მუშაობა გასწია და ხალხი ახალი აჯანყებისათვის დარაზმა¹¹. თუმცა, მუსავატელებთან კავშირის აღდგენა ვერ მოხერხდა. ამგვარად, აზერბაიჯანიც გამოირიცხა აჯანყებიდან.

უფრო იმედიაანად გამოიყურებოდა ჩრდილოეთ კავკასია, განსაკუთრებით ჩეჩნეთი. მათი თავკაცი ალი მიტაევი ქაქუცა ჩოლოყაშვილს უნახავს და აჯანყებაში მონაწილეობაც შეუთავაზებია. ჩეჩნეთთან კავშირი ხომერიკს დავალებული ჰქონდა წინამძღვრიშვილისთვის და ის შეხვედრია ალი მიტაევს. ამ შეხვედრიდან მას გაუკეთებია დასკვნა: "აქ ადამიანთა მასალა არის, მაგრამ სპეციალისტების გარეშე"¹². ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩეჩნეთი მზად იყო დახმარებოდა საქართველოს, მაგრამ საჭირო იყო 50 ოფიცერ-ინსტრუქტორი მებრძოლთა მოსამზადებლად. უსახსრობის გამო, სპეციალისტთა გაგზავნა ჩეჩნეთში ვერ მოხერხდა.

ხომერიკის დაპატიმრების შემდეგ, მისი ადგილი დაიკავა გოგიტა ფაღავამ. ჩეჩნეთში მასალაპარაკებლად მიხეილ იშხნელი გაგზავნეს, მაგრამ ამ დროს ფაღავა და წინამძღვრიშვილი ჩეკამ დააკავა. ჩეჩნეთის "მეჯლისმა", რომელიც აჯანყების საკითხთა განსახილველად შეიკრიბა, იშხნელი დაარწმუნა, რომ ჩეჩნებს 1500 მეომარზე მეტის გამოყვანა არ შეეძლო. ეს ძალაც საქართველოს უნდა მოემარაგებინა ვაზნებით. საბოლოოდ, ჩრდილოეთ კავკასიის ჩაბმა აჯანყებაში ვერ მოხერხდა, რასაც ნაწილობრივ ხელი შეუწყო ჩეჩნების ლიდერის შეიხ ალი მიტაევის და მისი თანამოაზრეების

დაპატიმრებამ. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ 1922 წლის აჯანყების შემდეგ რუსულმა ჯარებმა საგანგებოდ გადაკეტეს და გაამაგრეს კავკასიის უღელტეხილები, რათა აჯანყებული ქართველებისათვის ყოველგვარი დახმარების საშუალება მოესპოთ.

ცხადი იყო, რომ აჯანყების მზადების შესახებ ბოლშევიკური მთავრობა კარგად იყო ინფორმირებული და ზედიზედ აპატიმრებდა მის ორგანიზატორებს. ამას ემატებოდა ისიც, რომ ევროპა თუმცა თანაუგრძნობდა საქართველოს, მაგრამ ვერ ბედავდა მის საქმეებში აქტიურ ჩარევას, რადგან საქართველო საბჭოთა რუსეთის ნაწილი იყო, ევროპა კი ერიდებოდა გიგანტურ იმპერიასთან შეჯახებას.

პარიტეტულ კომიტეტში ლაპარაკი იყო აჯანყების თარიღის გადაწყვეტაზე, ამიტომ საჭიროდ ჩათვალეს პარიზში გაეგზავნათ ვინმე, რომელსაც დაევალებოდა საერთაშორისო ვითარების გარკვევა, რადგან ნოე რამიშვილის და ევგენი გეგეჭკორის ცნობით, ერიოს საფრანგეთი და მაკდონალდის ინგლისი ჩვენს მხარეზე იქნებოდა¹³. ქვეყნის ტერიტორია დაყვეს რაიონებად და თითოეულ მათგანს დაუნიშნეს სარდალი: ქაქუცა თიანეთში, დუშეთში, კავთისხევში, მანგლისსა და ბორჩალოში უმეთაურებდა აჯანყებას; ქართლში - მიხეილ შაქარაშივილი; ბორჯომის ხეობაში - კასრაძე; ქუთაისში - სიმონ და გიორგი წერეთლები, პოლკოვნიკი მიქელაძე; სვანეთში - გარდაფხაძე, ბიძინა პირველი და ძმები დადიანები; სამეგრელოში - თოფურია, სტეფანე გაგუა; გურიაში - სოლ. ყარალაშივილი, მათითაიშივილი; ბათუმში – ფურცელაძე¹⁴.

პარიტეტულ კომიტეტში მიაჩნდათ, რომ აჯანყებისათვის მზადება დასრულებული იყო და რჩებოდა ბოლო დეტალი - აჯანყების თარიღის შერჩევა. საბოლოოდ, აჯანყების თარიღად 17 აგვისტო გამოცხადდა, მთავარსარდალად კი დანიშნეს გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე. ცენტრალურმა სამხედრო კომისიამ შეადგინა აჯანყების გეგმა, რომლის მიხედვით, აჯანყება ყველა ქალაქსა და მაზრაში ერთდროულად უნდა დაწყებულიყო¹⁵. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო თბილისის აღება, როგორც სამხედრო ქალაქისა და ბათუმის, როგორც სანავსადგურო ქალაქისა, საიდანაც აჯანყებულები ევროპას უნდა დაკავშირებოდნენ. თბილისის აღებას ქაქუცა ჩოლოყაშივილი კისრულობდა 600-კაციანი რაზმით. ამისათვის, მას ჯერ დუშეთი უნდა აეღო, გადაეკეთა დარიალის გასასვლელი და შემდეგ

წამოსულიყო თბილისისკენ. მისი აღება უნდა გაეადვილებინა იმ ფაქტორს, რომ წითლების ჯარი საზაფხულო ბანაკებში იმყოფებოდა. თბილისის აღებამდე კი, ცაგურიას მეთაურობით უნდა განხორციელებულიყო ვაზიანის საარტილერიო ნაწილების დამარცხება და იარაღის ხელში ჩაგდება. ეს ოპერაცია, პარიტეტულ კომიტეტს აჯანყების გამარჯვების გარანტიად მიაჩნდა¹⁶.

დამოუკიდებლობის კომიტეტი კონსპირაციის მიზნით მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდა, მაგრამ საქართველოს საგანგებო კომისიას გააჩნდა ინფორმაცია აჯანყების მზადების შესახებ და ჰქონდა აგენტთა რთული ქსელი როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, რაც საშუალებას აძლევდა გააკონტროლებინა არაღებულური შეკრებები. ამას ემატებოდა აგრეთვე ინფორმაციები, რომლებიც გამოსძალეს აჯანყების ორგანიზატორებს, რომლებიც დააპატიმრა ჩეკამ. 1924 წლის 25 ივლისს დააპატიმრეს ბენია ჩხიკვიშვილი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პარიტეტული კომიტეტის, მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის და საზღვარგარეთული ბიუროს წევრის ვალიკო ჯუღელის დაპატიმრება, რომლისგანაც საგანგებო კომისიამ გაიგო აჯანყების დაწყების თარიღი - 17 აგვისტო. ჯუღელმა წერილით მიმართა დამკომს ხელი აეღოთ აჯანყებაზე, რადგან ჩეკამ ყველაფერი იცოდა და აჯანყება ავანტიურად გადაიქცეოდა. ჯუღელის წერილი მხოლოდ 29 აგვისტოს გამოაქვეყნა გაზეთმა "კომუნისტმა", როცა აჯანყება ერთი დღის დაწყებული იყო. ამით ხელისუფლებამ მოახდინა აჯანყების პროვოცირება, რათა მისი ჩახშობის საშუალება მისცემოდა.

1924 წლის 11 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცკ დეპუტებს უგზავნის პარტიის საოლქო და სამაზრო კომიტეტების მდივნებს და აუწყებს, რომ მენშევიკური აჯანყება მოსალოდნელი იყო 14-20 აგვისტოს და მიუთითებს მნიშვნელოვანი პუნქტების დაცვაზე¹⁷. მანევრებზე მყოფ ჯარებს სასწრაფოდ აბრუნებენ თბილისში და დედაქალაქში კომენდანტის საათს აცხადებენ. ჯერ კიდევ აჯანყებამდე ჩაატარეს რეპრესიები. ბათუმში დააპატიმრეს გენერალი ფურცელაძე და სხვა მეთაურები, გურიაში ს. ყარალაშვილი და სხვ.

ასეთ ვითარებაში, პარიტეტული კომიტეტი იძულებული გახდა აჯანყების დაწყების თარიღი გადაედო, რამაც უფრო შეკვეცა აჯანყების მასშტაბურობა, გამორიცხა მოულოდნელობის ეფექტი და მნიშვნელოვან

ქალაქებზე შეტევის შესაძლებლობა. აჯანყების პერსპექტიულობა სულ უფრო უიმედო ხდებოდა. აჯანყების დღედ დაინიშნა 29 აგვისტო იმ იმედით, რომ მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებული ხალხის მასობრივი თავყრილობა, შეიძლებოდა ადვილად გადაზრდილიყო შეიარაღებულ გამოსვლებში.

შენიშვნები

1. აკ. სურგულაძე, პ. სურგულაძე. საქართველოს ისტორია. 1783-1990. თბ., 1991, გვ. 251.
2. აღ. სულხანიშვილი. ჩემი მოგონებანი. სან-ფრანცისკო, 1981, გვ. 196.
3. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტ. 4. თბ., 2012, გვ. 286.
4. იქვე.
5. აკ. სურგულაძე, პ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 252.
6. ნ. კირთაძე. 1924 წლის აჯანყება საქართველოში. ქუთაისი, 1996. გვ. 133.
7. ნოე ჟორდანიას. რჩეული ჩანაწერები. თბ., 1990, გვ. 128-129.
8. იქვე, გვ. 129.
9. გ. საითიძე. ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი. თბ., 2012, გვ. 85.
10. ნ. კირთაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 135.
11. გ. საითიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 86.
12. ნ. კირთაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 153.
13. იქვე.
14. ს. ზაღდასტანიშვილი. საქართველოს 1924 წლის ამბოხება. თბ., 1989, გვ. 20.
15. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტ. 4. გვ. 289.
16. ვ. ბენიძე. 1924 წლის აჯანყება საქართველოში. თბ., 1991, გვ. 20.
17. იქვე, გვ. 23.

Vazha Chochia

The annexation of independent Georgia by Soviet Russia

And the first armed protests

Resume

The work shows armed protests that began several months after the annexation of independent Georgia by Soviet Russia. The reason for these events was the loss of Georgia's independence, the alienation of its historic territories and brutal repression. The rebellion first started in Svaneti and soon almost all Georgia was covered. The new

government-revolutionary committee of Georgia, by resolution of October 7, 1921, created special purpose units, which should strongly suppress anti-Soviet speech.

The Svaneti uprising has caused great international resonance. Despite its failure, it has been of great importance, because it was in the vanguard of the National Liberation Movement of the 1920s. The defeat of the uprising was followed by severe repression by the Bolshevik authorities. The revolts in Khevsureti, Tusheti, Pshavi, Kakheti, Kartli, Guria also caused great resonance. The failure was caused by the local nature of the battles and the disagreements that arose between the parties. If the National Democrats were supportive of the struggle, the Social Democrats would rather be in favor of an agreement with the Bolsheviks.

Despite the defeat, there was preparation for a larger uprising in Georgia, but unfortunately they did not take into account past mistakes. It was impossible to overthrow the Soviet government even in the event of a general uprising. Even if the rebellion were to succeed, they could not survive without the help of Europe, because Europe would not easily intervene in the struggle against Greater Russia. One solution remained to draw the attention of the great European countries to the rebellion and hope for their help.